



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

2021 წელი 15 ივნისი

74/04

№ _____

თბილისი

**ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის სახელმძღვანელოს დამტკიცების
თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. დამტკიცდეს ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის თანდართული სახელმძღვანელო.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის, იდენტიფიკაციისა და მათი ვინაობის გადამოწმების შესახებ სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 14 მარტის N53/04 ბრძანება.

მუხლი 3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კობა გვენეტაძე

ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის სახელმძღვანელო

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის სახელმძღვანელო (შემდგომში - სახელმძღვანელო) შედგენილია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის, ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფის (FATF) და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2. სახელმძღვანელოს მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირებს (შემდგომში - ანგარიშვალდებულ პირი), შეასრულონ კლიენტების ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები.

3. სახელმძღვანელო განმარტავს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ და განსაზღვრავს იმ პრინციპებსა და მიდგომებს, რომლითაც ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა იხელმძღვანელოს კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის პროცესში. აუცილებელია ანგარიშვალდებულმა პირმა საქართველოს კანონმდებლობის, საუკეთესო პრაქტიკის, კლიენტების სპეციფიკის და რისკზე დამყარებული მიდგომის გათვალისწინებით, შეიმუშავოს დეტალური შიდა ინსტრუქციები.

4. რიგ შემთხვევებში, ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის მოპოვება განსაკუთრებულ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. რთული მმართველობის და მფლობელობის (კონტროლის) სტრუქტურის არსებობისას, ანგარიშვალდებულმა პირმა მის შესწავლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს და გაითვალისწინოს როგორც კლიენტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და სტრუქტურული თავისებურებები, ისე მისი საქმიანობის სპეციფიკა და მარეგისტრირებული ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციები.

5. უმეტესად, კლიენტის საქმიანობის საგანი, მისი კორპორაციული და მფლობელობის სტრუქტურა ანგარიშვალდებულ პირისთვის ნათელი და გასაგებია, თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს რთული სტრუქტურები (მაგალითად, ორგანიზაციები, რომელთა მფლობელობით ჯაჭვში სხვადასხვა იურიდიული ქვეყნებში შექმნილი/მოქმედი არაერთი იურიდიული პირი ან ორგანიზაციული წარმონაქმნი ფიგურირებს), რაც ზრდის შესაბამისი ინფორმაციის შესწავლისა და ანალიზისთვის საჭირო ნაბიჯების რაოდენობას. აღნიშნული, თავისთავად არ ნიშნავს, რომ საქმე ეხება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) შემთხვევას, თუმცა, რთული სტრუქტურის გამოყენება აშკარა და ლეგიტიმური მიზეზის გარეშე, იწვევს ეჭვს და შესაბამისად, მნიშვნელოვნად ზრდის ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკებს.

6. კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ადეკვატური და ზუსტი ინფორმაციის დროული მოპოვება, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების

მიზნით იურიდიული პირების და ორგანიზაციული წარმონაქმნების გამოყენების პრევენციის უმნიშვნელოვანეს ზომას წარმოადგენს.

მუხლი 2. ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა

1. ფიზიკური პირი შეიძლება ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგი კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:

- ა) წარმოადგენს ბენეფიციარ მესაკუთრეს საკუთრების უფლების გამოყენებით;
- ბ) საბოლოოდ აკონტროლებს კლიენტს სხვა ხერხის გამოყენებით (კონტროლი საკუთრების უფლებისგან განსხვავებული გზით);

გ) წარმოადგენს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ფიზიკურ პირს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმები გამოიყენება თანმიმდევრულად.

3. კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა, პირველ რიგში, უნდა შეისწავლოს კლიენტის მფლობელობის სტრუქტურა და განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა რომელიმე ფიზიკური პირი ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კრიტერიუმს.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმით შეუძლებელია ბენეფიციარი მესაკუთრის/მესაკუთრეების დადგენა, ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოვლენილი ფიზიკური პირი. ამასთან, თუ არსებობს საფუძველი, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოვლენილი ფიზიკური პირების გარდა, სხვა ფიზიკური პირიც ახორციელებს კონტროლს კლიენტზე სხვა ხერხების გამოყენებით, ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს როგორც ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ასევე „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოვლენილი ფიზიკური პირები.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა შესაძლო ღონისძიების გატარების შემდეგ, ანგარიშვალდებულ პირი დარწმუნდა, რომ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად ბენეფიციარი მესაკუთრე არ არსებობს.

6. შესაძლებელია, რომ ფიზიკური პირი ერთდროულად აკმაყოფილებდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რამდენიმე კრიტერიუმს.

მუხლი 3. ბენეფიციარი მესაკუთრე საკუთრების უფლების გამოყენებით

1. ფიზიკური პირი ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ საკუთრების უფლების გამოყენებით, თუ იგი აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს:

- ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კლიენტის წილის/აქციების 25% ან მეტს;
- ბ) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს კლიენტის ხმის უფლების მქონე წილის/აქციების 25%-ს ან მეტს.

2. წილის/აქციის ან ხმის უფლების ფარგლების განსაზღვრისას, ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებებს:


- ა) პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა;

ბ) ნომინალური მფლობელობა;

გ) წილის ან ხმის უფლების ერთობლივი ფლობა ორი ან რამდენიმე პირის მიერ;

დ) შეთანხმებები წილისა და ხმის უფლების მფლობელებს შორის.

3. პირდაპირი მფლობელობისგან განსხვავებით, არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში, კლიენტის მფლობელობის სტრუქტურის ვერტიკალურ ჭრილში ფიგურირებს ერთი ან მეტი იურიდიული პირი/ორგანიზაციული წარმონაქმნი (იხ. მაგალითი N1).



მაგალითი N1


კომპანია X-ის მფლობელობის სტრუქტურის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ბენეფიციარ მესაკუთრეს მხოლოდ ფიზიკური პირი C წარმოადგენს, რადგან იგი კომპანია C-სა და კომპანია D-ს წილის ერთადერთი მესაკუთრეა და მის მფლობელობაში არსებული წილის ჯამური ოდენობა 40%-ს შეადგენს. სხვა ფიზიკური პირების წილის ოდენობა არ აღემატება 25%-ს და შესაბამისად, ისინი არ წარმოადგენენ ბენეფიციარ მესაკუთრეებს.

მაგალითში ნათლად ჩანს, რომ C და D კომპანიების მფლობელობის სტრუქტურის შესწავლის გარეშე, ფიზიკური პირი C, ყურადღების მიღმა დარჩებოდა.

4. არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში, საკუთრების უფლების გამოყენებით ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენისას, მიზანშეწონლია შემდეგი ორი მიდგომის გათვალისწინება:

ა) ზღვრული მიდგომა;

ბ) საკონტროლო პაკეტის მიდგომა.



მაგალითი N2


„ზღვრული მიდგომა“

- ფიზიკური პირი B წარმოადგენს კომპანია X-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი პირდაპირ ფლობს კომპანია X-ს წილის/აქციების 25%-ზე მეტს.
- ფიზიკური პირი C წარმოადგენს კომპანია X-ს ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი არაპირდაპირ ფლობს კომპანია X-ს წილის/აქციების 25%-ზე მეტს (26% ე.ი. 52%-ის 50%).
- ფიზიკური პირები D და E არ განიხილებიან ბენეფიციარ მესაკუთრეებად, რადგან ისინი არ ფლობენ კომპანია X-ს წილის/აქციების 25%-ს ან მეტს არაპირდაპირ (13% ე.ი. 52%-ის 25%) და ამასთან, ისინი არც საკონტროლო პაკეტის მფლობელებს წარმოადგენენ იმ კომპანიაში, რომელიც კლიენტის წილის/აქციების 25%-ის ან მეტის მფლობელია.

5. მხოლოდ „ზღვრული მიდგომის“ გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენისას. შესაძლოა, ფიზიკური პირი არაპირდაპირ ფლობდეს წილის/აქციების 25%-ს ან მეტს, ან არ ფლობდეს, თუმცა, მაინც ახორციელებდეს კონტროლს ხმის უფლების გამოყენებით. ე.ი. გააჩნდეს უფლებამოსილება, წილის ან აქციების თანმდევი ხმის უფლების გამოყენებით მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კლიენტის მართვაზე, „საკონტროლო პაკეტის მიდგომის“ შესაბამისად.

6. „საკონტროლო პაკეტის მიდგომა“ გულისხმობს შესაბამისი წილის (50%-ს + 1 ხმა/შესაბამისი წილობრივი ინტერესი) ფლობას იმ ორგანიზაციაში, რომელიც არის კლიენტის 25%-ის და მეტის მფლობელი. საკონტროლო პაკეტის ფლობა შესაძლებელია, როგორც პირდაპირ, ისე მფლობელობითი ჯაჭვის მეშვეობით, სადაც ფიზიკური პირი

ფლობს მსგავს წილს (50% + 1 ხმა/შესაბამისი წილობრივი ინტერესი) თითოეულ შუალედურ (სტრუქტურაში შემავალ) კომპანიაში.



მაგალითი N3

„საკონტროლო პაკეტის მიდგომა“

- ფიზიკური პირი B წარმოადგენს კომპანია X-ს ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი პირდაპირ ფლობს კომპანია X-ის წილის/ხმის უფლების აქციების 25% ან მეტს.
- მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ არცერთი სხვა ფიზიკური პირის არაპირდაპირი მფლობელობა არ შეადგენს 25% ან მეტს „ზღვრული მიდგომის“ მიხედვით, (ფიზიკური პირი C - 24%, ე.ი. 30%-ის 80% და ფიზიკური პირები D და E - 3% ე.ი. 30%-ის 10%), ფიზიკური პირი C ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ, ვინაიდან იგი წარმოადგენს საკონტროლო პაკეტის მფლობელს კომპანიაში (კომპანია A), რომელიც არის კომპანია X-ს წილის 25%-ის ან მეტის მფლობელი.

7. თუ პირი წილს ან აქციებს ფლობს სხვა პირის სასარგებლოდ, ბენეფიციარ მესაკუთრედ განიხილება ის პირი, რომლის აქციებიც ნომინალურ მფლობელობაშია.


8. კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის პროცესში ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ისეთი კლიენტების შესწავლაზე, რომელთა მიმართებაშიც ფიქსირდებიან ნომინალური აქციონერები/მფლობელები და დირექტორები, რათა დარწმუნდეს, რომ დანამდვილებით იცის, ვინ არის კლიენტის რეალური ბენეფიციარი მესაკუთრე. ნომინალური მფლობელობის შემთხვევაში, კლიენტს მოეთხოვება ნომინალური მფლობელობის შესახებ შეთანხმების (Nominee Shareholder's Agreement) ან სხვა ისეთი დოკუმენტის წარმოდგენა, სადაც განსაზღვრულია მხარეების უფლება-მოვალეობები და მითითებულია მათი ვინაობა. დამატებით წყაროდ შესაძლებელია განხილულ იქნას, მაგალითად, დივიდენდის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან

დივიდენდის გადარიცხვის საბუთი, საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი განაწილებული დივიდენდიდან გადახდილი გადასახადების შესახებ.

9. თუ ორი ან მეტი პირი წილს ან/და აქციას ფლობს ერთობლივად, თითოეული მათგანი განიხილება მთლიანი (ჯამური) წილის ან/და აქციების მფლობელად.


მაგალითი N4

წილის ან ხმის უფლების ერთობლივი ფლობა



- ფიზიკური პირი B წარმოადგენს კომპანია Z-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი პირდაპირ ფლობს კომპანია Z-ის წილის/აქციების 25% ან მეტს.
- ფიზიკური პირი A არ წარმოადგენს კომპანია Z-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი არ ფლობს კომპანია Z-ის წილის/აქციების 25% ან მეტს.
- ფიზიკური პირები C და D ჩაითვლებიან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე 30%-ის (მთლიანი (ჯამური) წილის/აქციების) მფლობელებად, რადგან ისინი ერთობლივად ფლობენ კომპანია Z-ის წილის/აქციების 25% ან მეტს. შესაბამისად, როგორც ფიზიკური პირი C, ისე ფიზიკური პირი D, წარმოადგენენ კომპანია Z-ის ბენეფიციარ მესაკუთრეებს.

10. შესაძლოა პირები წილს/აქციებს ან მათგან მომდინარე ხმის უფლებას არ ფლობდნენ ერთობლივად, თუმცა, ანგარიშვალდებულებული პირის ხელთ არსებული ინფორმაციით, შესაძლოა მათ შორის არსებობდეს შეთანხმება, რომ ისინი წილიდან/აქციებიდან გამომდინარე უფლებებს განახორციელებენ ერთობლივად (ერთობლივად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი). მოცემულ შემთხვევაში, შეთანხმების თითოეული მხარე განიხილება მხარეების მთლიანი (ჯამური) წილის/აქციების ან ხმის უფლების მფლობელად.



მაგალითი N5

შეთანხმება წილის და ხმის უფლების მფლობელებს შორის

- ფიზიკური პირი A წარმოადგენს კომპანია Z-ის ბენეფიციარ მესაკუთრეს, ვინაიდან იგი პირდაპირ ფლობს კომპანია Z-ის წილის/აქციების 25%-ს ან მეტს.
- მიუხედავად იმისა, რომ არც ფიზიკური პირი C და არც ფიზიკური პირი D არ ფლობენ კომპანია Z-ის წილის/აქციების 25%-ს ან მეტს, მათ შორის არსებობს გრძელვადიანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ისინი თავიანთ საკუთრებაში არსებულ უფლებებს იდენტურად ახორციელებენ. გამომდინარე აღნიშნულიდან, ფიზიკური პირი C და ფიზიკური პირი D განიხილებიან ჯამური (30%) წილის/აქციების მფლობელად და შესაბამისად, ორივე მათგანი წარმოადგენს კლიენტის ბენეფიციარ მესაკუთრეს.

მუხლი 4. სატრასტო ურთიერთობა და სხვა მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურები

1. სატრასტო ურთიერთობა არის სამართალურითიერთობის სახე, რომელიც წარმოიშობა მარწმუნებლის (settlor) მიერ განსაზღვრული ქონების რწმუნებულისთვის (trustee) გადაცემისას, რათა რწმუნებული ფლობდეს და მართავდეს ქონებას ბენეფიციარის სასარგებლოდ.

2. სატრასტო ურთიერთობა იძლევა საშუალებას ქონების სამართლებრივი საკუთრება განცალკევდეს ბენეფიციური საკუთრებისგან. სატრასტო ურთიერთობა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უკანონო საქმიანობიდან მიღებული ქონების/შემოსავლის და მასზე კონტროლის განხორციელების გზების შენიღბვის მიზნით. სატრასტო ურთიერთობის გამოყენებით შესაძლებელია დაცულ იქნას ბენეფიციარი მესაკუთრის ანონიმურობა და დაიმალოს მისი კავშირი როგორც ქონებასთან, ისე სხვა მხარეებთან.

3. ტრასტის მხარეებს წარმოადგენენ:

- მარწმუნებელი;
- რწმუნებული;

გ) ბენეფიციარი (საკუთრების მინდობისას „ბენეფიციარი“ არ არის სახელმძღვანელოს მიზნებისთვის „ბენეფიციარი მესაკუთრის“ იდენტური და გულისხმობს პირს, რომლის სასარგებლოდაც ტრასტია დაფუძნებული);

დ) მეურვე (არსებობის შემთხვევაში).

4. ტრასტის მხარეების უფლებამოსილებების ფარგლები და მათი განხორციელების თავისებურებები დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობასა და ტრასტის შექმნის დოკუმენტის დებულებებზე. ანგარიშვალდებული პირი აუცილებლად უნდა გაეცნოს ტრასტის შექმნის დოკუმენტს (Trust Deed, Trust Agreement და სხვ.) და ტრასტის თავისებურებებიდან გამომდინარე, გაატაროს პრევენციული ზომები ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ყველა პირის მიმართ.

5. ტრასტის შექმნის დოკუმენტთან ერთად, ანგარიშვალდებულმა პირმა შესაძლებელია მოითხოვოს ტრასტის დეკლარაცია (Trust Declaration) შესაბამისი ინფორმაციის მითითებით, რომელსაც იგი განიხილავს ტრასტის შექმნის დოკუმენტის დებულებებთან ერთობლიობაში. ტრასტის დოკუმენტების განხილვისას, მნიშვნელოვანია, ანგარიშვალდებულმა პირმა გაითვალისწინოს იმ იურისდიქციაში არსებული კონტროლის მექანიზმები ფულის გათეთრების/ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით, სადაც მოქმედებს რწმუნებული (მათ შორის, ექვემდებარება თუ არა რწმუნებული რეგულირებას და ზედამხედველობას) და ასევე, მხედველობაში მიიღოს საჯარო წყაროებში არსებული ინფორმაცია რწმუნებულის შესახებ.

6. გარდა ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტებისა, ტრასტის შესახებ ინფორმაციის დამატებით წყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქნას სპეციალური სახელმწიფო რეესტრები (მაგალითად, ტრასტების ან ტრასტის აქტივების რეესტრი), საგადასახადო ორგანოების, ზედამხედველობას დაქვემდებარებული აგენტების და სერვისის მიმწოდებლების ხელთ არსებული ინფორმაცია შესაბამისი იურისდიქციისა და ინფორმაციის წყაროს შეფასების გათვალისწინებით, დივიდენდის ან შემოსავლების განაწილების დოკუმენტი და სხვ.


7. მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტების ანალიზის შედეგად ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს უცხოური ტრასტის მხარეები და მათი უფლებამოსილებების ფარგლები:


ა) რწმუნებულს როგორც წესი, გააჩნია ტრასტის მართვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. თუ რწმუნებული, საკუთარი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, განიხილება მაკონტროლებელ პირად და ამასთან, იგი წარმოადგენს იურიდიულ პირს, სავალდებულოა როგორც თვითონ რწმუნებულის, ასევე, მისი ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია;

ბ) ბენეფიციარი ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ გამომდინარე მისი უფლებამოსილებიდან ტრასტის შექმნის დოკუმენტის საფუძველზე გადაცემულ აქტივებზე. შესაბამისად, გარკვეული ტიპის ტრასტებთან მიმართებაში, სადაც ბენეფიციარის/ბენეფიციარების ვინაობა და სარგებელთან დაკავშირებული პირობები წინასწარაა განსაზღვრული (მაგ. „ფიქსირებული ტრასტი“), ბენეფიციარები განიხილებიან ბენეფიციარ მესაკუთრეებად. განსხვავებულია შემთხვევა, როცა ბენეფიციარს შესაბამისი უფლებამოსილებები ავტომატურად არ წარმოეშობა და აღნიშნული დამოკიდებულია სხვა პირთა (მაგ. რწმუნებულის) შემდგომ

გადაწყვეტილებაზე (მაგ. „დისკრეციული ტრასტი“). აღსანიშნავია, რომ იმ ბენეფიციართა კატეგორიასთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრული არიან გარკვეული მახასიათებლის ან კლასის მიხედვით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაატაროს გონივრული ზომები ბენეფიციარების კლასის ან ჯგუფის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მოსაპოვებლად იმისათვის, რომ დარწმუნდეს მათი იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის შესაძლებლობაში ბენეფიციარზე სარგებლის გაცემამდე ან ბენეფიციარის მიერ მისთვის მიკუთვნებული უფლებით სარგებლობამდე. ამასთან, ისეთ შემთხვევებში, სადაც ტრასტის სადამფუძნებლო დოკუმენტი ითვალისწინებს ბენეფიციარის ცვლილებას გარკვეული პერიოდის შემდეგ ან გარკვეული პირობის დადგომის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა გონივრულ ფარგლებში უნდა უზრუნველყოს ყველა შესაბამისი პირის იდენტიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია მარწმუნებელი ამავდროულად იყოს ბენეფიციარიც.

გ) ზოგადი წესის თანახმად, რწმუნებულს გააჩნია ტრასტის მართვისა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, სხვა პირს (მაგ. მარწმუნებელი ან მეურვე) ტრასტის სადამფუძნებლო დოკუმენტის მიხედვით, შესაძლოა გააჩნდეს უფლებამოსილება დანიშნოს/გაათავისუფლოს რწმუნებული, განკარგოს სახსრების/აქტივების განაწილება, მიიღოს გადაწყვეტილება განსახორციელებელ ინვესტიციებთან დაკავშირებით, შეცვალოს ტრასტის პირობები, გააუქმოს ტრასტი ან სხვა. გასათვალისწინებელია, რომ უფლებები უნდა იყოს აქტიური, ანუ თუ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მიხედვით, რწმუნებული ვალდებულია მიიღოს თანხმობა მეურვისგან, მეურვე არ განიხილება ეფექტური კონტროლის განმახორციელებელ პირად (იგი იყენებს პასიურ - თანხმობის უფლებას). ასევე, უფლება არ აქცევს ბენეფიციარ მესაკუთრედ პირს, თუ მისი განხორციელება მისგან დამოუკიდებელ გარემოებებზე ან გარკვეული პირობის დადგომაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ მეურვეს აქვს უფლება მოხსნას რწმუნებული მისი არამართლზომიერი ქმედების შემთხვევაში, მეურვე ასევე ვერ იქნება განხილული მაკონტროლებელ პირად.





მაგალითი N7

კლიენტის მფლობელობის სტრუქტურაში ფიგურირებს სატრასტო-სამართლებრივი ურთიერთობა (ე.წ. „დისკრეციული ტიპის ტრასტი“), რომელიც კომპანიის წილის 100%-ს, რწმუნებული B-ს საშუალებით ფლობს. სახეზეა შემდეგი გარემოებები:

1. რწმუნებული წარმოადგენს არაპროფესიონალ პირს, შესაბამისი გამოცდილების გარეშე;

2. ბენეფიციარი წინასწარ არ არის განსაზღვრული;

3. რწმუნებული არ არის უფლებამოსილი მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და უმეტეს შემთხვევებში, დამოკიდებულია მარწმუნებლის გადაწყვეტილებებზე.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ბენეფიციარ მესაკუთრედ რწმუნებულ B-სთან ერთად, ასევე უნდა მივიჩნიოთ მარწმუნებელი C.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით განხილული შემთხვევების მიუხედავად, პრევენციული ღონისძიებები ასევე უნდა გატარდეს ყველა იმ ფიზიკური პირის მიმართ, ვინც ახორციელებს საბოლოო ეფექტურ კონტროლს ტრასტზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მსგავსი პირების განსაზღვრისას, ანგარიშვალდებულმა პირმა, მის ხელთ არსებულ სხვა ინფორმაციასთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს კლიენტის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმ ფიზიკური პირების შესახებ, რომლებიც მისი ცნობით ან შეხედულებით აკონტროლებენ ტრასტს.

9. ტრასტის მსგავსი სამართლებრივი სტრუქტურის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს სხვა მსგავსი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური პირების ვინაობა და მოითხოვოს ტრასტის შემთხვევაში მოთხოვნილი დოკუმენტაციის ეკვივალენტური დოკუმენტაცია.


მუხლი 5. საინვესტიციო ფონდები

1. საინვესტიციო ფონდები თავის საქმიანობას სხვადასხვა ფორმით ახორციელებენ, მათ შორის, ისეთი სტრუქტურების გამოყენებით (არარეგისტრირებული სტრუქტურები, კომანდიტური საზოგადოებები), რომელთა მიმართაც, გარკვეულ იურისდიქციებში, შესაძლოა, მცირე სარეგისტრაციო მოთხოვნები მოქმედებდეს.

2. საინვესტიციო სტრუქტურების ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენას ართულებს სხვადასხვა იურისდიქციაში რეგისტრირებული/დაფუძნებული შუამავლების მონაწილეობა და იურიდიული პირების სიმრავლე, რომელთა მეშვეობითაც ფიზიკური პირი ახორციელებს ინვესტიციებს სხვადასხვა სახის აქტივებში.

მაგალითი N8

ფიზიკური პირი X, ინვესტიციების საკუთარ სახელზე ფლობის ნაცვლად, იყენებს იურიდიულ სტრუქტურებს



3. საინვესტიციო ფონდი თავის საქმიანობას, ჩვეულებრივ, შემდეგი ფორმით ახორციელებს:


ა) საინვესტიციო კომპანია – საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც იურიდიული პირი (როგორც წესი, სააქციო საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება);

ბ) ერთობლივი საინვესტიციო ფონდი – საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც სახელშეკრულებო სქემა, იურიდიული პირის შეუქმნელად;

გ) სატრასტო ურთიერთობის სახით ორგანიზებული საინვესტიციო ფონდი.

მაგალითი N9

საინვესტიციო სქემების მაგალითები



- ა) გარკვეულ იურისდიქციებში, კომანდიტური საზოგადოება არ წარმოადგენს იურიდიულ პირს;
- ბ) კომანდიტური საზოგადოების სრულ პარტნიორს, ჩვეულებრივ, აქტივების მმართველი კომპანია წარმოადგენდეს.

4. ერთობლივი საინვესტიციო ფონდის სახით ორგანიზებული საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურა და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები:

- ა) აქტივების მმართველი კომპანიის მიმართ;
- ბ) ინვესტორის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს ამ სახელმძღვანელოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კრიტერიუმს;
- გ) პირების მიმართ, რომლებსაც გააჩნიათ შემდეგი უფლებამოსილებები:
 - გ.ა) აქტივების მმართველი კომპანიის დანიშვნა და განთავისუფლება;
 - გ.ბ) სტრუქტურის სახსრების ან აქტივების პირდაპირი განაწილება;
 - გ.გ) გადაწყვეტილება პირდაპირი ინვესტირების შესახებ;
 - გ.დ) სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანა;
- გ.ე) სტრუქტურის გაუქმება.

5. საინვესტიციო ფონდის მფლობელობისა და კონტროლის (მმართველობის) სტრუქტურის შესწავლის მიზნით, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია, დაეყრდნოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით ეფექტიან ზედამხედველობას დაქვემდებარებულ აქტივების მმართველ კომპანიას.

6. აქტივების მმართველ კომპანიაზე დაყრდნობისას, ანგარიშვალდებული პირი უფლებამოსილია არ განახორციელოს საინვესტიციო ფონდის ინვესტორების

იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია (გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა). ამასთან, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს წერილობითი დასტურის მიღება, რათა დარწმუნდეს, რომ:

ა) აქტივების მმართველ კომპანიას გააჩნია რისკის შესაბამისი პროცედურები და იყენებს გაძლიერებულ ზომებს მაღალი რისკის შემთხვევაში;

ბ) პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება საინვესტიციო ფონდის ყველა ინვესტორის მიმართ;

გ) აქტივების მმართველი კომპანია შეატყობინებს ანგარიშვალდებულ პირს, თუ რომელიმე ინვესტორი, საქმიანი ურთიერთობის განმავლობაში, გახდება პოლიტიკურად აქტიური პირი ან დაექვემდებარება შესაბამის სანქციას.

7. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიმართულებით ადგილობრივ ზედამხედველობას დაქვემდებარებულ აქტივების მმართველ კომპანიაზე დაყრდნობისას, ანგარიშვალდებულ პირი, უფლებამოსილია არ განახორციელოს ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ინვესტორების იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია. ამასთან, ანგარიშვალდებულმა პირმა საზედამხედველო ორგანოს ვებგვერდზე უნდა გადაამოწმოს და დარწმუნდეს, რომ აქტივების მმართველი კომპანია, შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობას ექვემდებარება.

8. სახელშეკრულებო სქემის საფუძველზე შექმნილი ერთობლივი საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში, ინვესტორები სხვა პირებს არ გადასცემენ საკუთრების უფლებას აქტივებზე. სატრასტო ურთიერთობის ფორმით ორგანიზებული საინვესტიციო ფონდების შემთხვევაში კი, ტრასტის შექმნის დოკუმენტის (Trust Deed) საფუძველზე, საინვესტიციო ერთეულების საწყისი მფლობელების აქტივები გადაეცემა რწმუნებულს (Trustee). ტრასტის ბენეფიციარებს საინვესტიციო ერთეულების მფლობელები წარმოადგენენ. სატრასტო ურთიერთობის ფორმით ორგანიზებული საინვესტიციო ფონდების შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს ამ სახელმძღვანელოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული ზომები.

9. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოებისა და კომანდიტური საზოგადოების სახით ორგანიზებული საინვესტიციო ფონდების შემთხვევაში, ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენასთან დაკავშირებული გამოწვევები იდენტურია იმ შემთხვევებისა, როცა ფიზიკური პირი წარმოადგენს იურიდიული პირის მფლობელს ან/და მაკონტროლებელს, ამ სახელმძღვანელოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

10. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფონდების მიზანს წარმოადგენს ინვესტირება უძრავ ქონებასა და ფინანსურ აქტივებში ქვეყნის ეკონომიკის სასარგებლოდ. აღნიშნული ტიპის ფონდების შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზე არ არის კონტროლი საკუთრების უფლების ან სხვა გზის გამოყენებით. ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე ფიზიკური პირი, რომელიც იკავებს უმაღლეს მმართველობით პოზიციას მსგავსი ტიპის საინვესტიციო ფონდში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია განისაზღვროს საინვესტიციო ფონდის სახე და მიზანი ისევე, როგორც საქმიანი ურთიერთობის მიზანი და განზრახული ხასიათი.

მუხლი 6. არასამეწარმეო მიზნებისთვის შექმნილი იურიდიული პირი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა წესრიგდება წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც შეიცავს ინფორმაციას პირის საქმიანობასთან და მართვასთან დაკავშირებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ბენეფიციარ მესაკუთრედ შესაძლებელია განხილულ იქნას:

ა) ფიზიკური პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლებას კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (გამგეობის წევრები). თუ შესაბამისი უფლებამოსილება გააჩნია რამდენიმე პირს, ბენეფიციარ მესაკუთრედ მიიჩნევა მათ შორის უმაღლესი იერარქიის ფიზიკური პირი, ხოლო თუ უფლებამოსილებები თანაბარია - ყველა ასეთი პირი;

ბ) ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს კლიენტის ხელმძღვანელი პირების დანიშვნის ან განთავისუფლების უფლება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების გარდა, მნიშვნელოვანია, ანგარიშვალდებულმა პირმა გამოარკვიოს ბენეფიციარის ვინაობა, რომელიც უფლებამოსილია სარგებელზე და ასევე, მიზანშეწონილია შეისწავლოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფინანსების წყაროები, ვინაიდან, მაკონტროლებელ პირად, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია განხილულ იქნას სწორედ დამფინანსებელი.

მუხლი 7. ფიზიკური პირის ბენეფიციარი მესაკუთრე

1. ფიზიკური პირი ანგარიშვალდებულ პირებთან საქმიან ურთიერთობაში, როგორც წესი, თავად წარმოადგენს ბენეფიციარ მესაკუთრეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფიზიკური პირის ქცევა, განხორციელებული ან/და განსახორციელებელი ტრანზაქციები, ოპერაციები, ინვესტიციები ან/და სხვა გარემოებები მიუთითებენ სხვაგვარად.

2. იმის გასარკვევად, მოქმედებს თუ არა ფიზიკური პირი საქმიან ურთიერთობაში სხვა პირის სახელით/დავალებით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს კლიენტი და გამოარკვიოს მისი სახსრების წარმომავლობა, ვინაიდან არსებობს საფრთხე, ფიზიკური პირი ოპერაციებს ახორციელებდეს სხვა პირის საკუთრებაში არსებული სახსრებით, ოფიციალურად გაფორმებული სათანადო დოკუმენტების გარეშე.

3. ფიზიკურ პირთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების და მათი შემდგომი მომსახურების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კლიენტის (მასთან დაკავშირებული პირების) მიერ მოწოდებული ინფორმაციის საიმედოობას, ურთიერთშესაბამისობას და ასევე, განხორციელებული ტრანზაქციების შესაბამისობას კლიენტის შემოსავლებთან და საქმიანობის სპეციფიკასთან.

მუხლი 8. კონტროლი საკუთრების უფლებისგან განსხვავებული გზით

1. ანგარიშვალდებული პირი კლიენტის ბენეფიციარ მესაკუთრეს ამ სახელმძღვანელოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადგენს შემდეგ შემთხვევებში:

ა) საკუთრების უფლების გამოყენებით ბენეფიციარი მესაკუთრეები ვერ გამოვლინდნენ;

ბ) საკუთრების უფლების გამოყენებით ბენეფიციარი მესაკუთრეები დადგენილები არიან, თუმცა არსებობს საფუძველი, რომ კლიენტზე კონტროლს, გამოვლენილ ბენეფიციარ მესაკუთრესთან ერთად, აგრეთვე ახორციელებს სხვა პირი ან რეალური კონტროლი მხოლოდ აღნიშნული სხვა პირის მიერ ხორციელდება.

2. ანგარიშვალდებულმა პირმა, მაკონტროლებელ პირად შესაძლებელია მიიჩნიოს პირი, რომელსაც გააჩნია ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების ან ვეტოს უფლება. ე.ი. პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უფლებამოსილია ინდივიდუალურად მიიღოს გადაწყვეტილება მმართველობითი და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების დანიშვნის/განთავისუფლების თაობაზე, მოგების განაწილებაზე ან სხვა რაიმე ფორმით მოახდინოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა კლიენტზე, მიუხედავად იმისა, რომ მის საკუთრებაში არსებული წილის/აქციების ოდენობა შეიძლება ნაკლები იყოს 25%-ზე.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების საფუძველი შესაძლოა იყოს პირის წესდება (სადაამფუძნებლო დოკუმენტი), პარტნიორთა (აქციონერთა) ან სხვა სახის შეთანხმებები. მხედველობაში არ მიიღება დროებით მფლობელობაში არსებული ან მხოლოდ ის უფლებები, რომელიც აქციონერთა უმცირესობის ინტერესების დაცვას ემსახურება. თითოეული შემთხვევა უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად, თუმცა, რაც უფრო შეზღუდულია უფლებები ან რაც უფრო მოკლე პერიოდითაა განსაზღვრული მათი ფლობა, მით უფრო ნაკლებსავარაუდოა, რომ სახეზეა საბოლოო კონტროლის შემთხვევა.

4. აღსანიშნავია, რომ კონტროლის განხორციელების გავრცელებულ სახეს ასევე წარმოადგენს კონტროლი საწარმოს დაფინანსებაში მონაწილეობით, კონტროლი პირადი (ოჯახური) ან პერსონალური ურთიერთობების გამოყენებით (კლიენტის მფლობელობისა და მმართველობის სტრუქტურაში ოფიციალური მონაწილეობის გარეშე). არაფორმალური მფლობელობის შემთხვევების გამოვლენა სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მის დასადგენად, მხოლოდ კლიენტის ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლა არ არის საკმარისი. მსგავსი გზით კონტროლის განმანხორციელებელი ფიზიკური პირის გამოსავლენად აუცილებელია ანგარიშვალდებულ პირს გააჩნდეს სრულყოფილი ცოდნა კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობისა და ქონების წარმომავლობის და ასევე, განხორციელებული გარიგებების მიზნობრიობის და გარიგებაში მონაწილე მხარეების შესახებ. მაგალითად, თუ კლიენტის 100% წილის/აქციების მესაკუთრეა ფიზიკური პირი A, რომელიც სტუდენტია, ხოლო კლიენტი (იურიდიული პირი) მნიშვნელოვანი აქტივების მფლობელია, ან მაგალითად, კლიენტის ანგარიშიდან თანხები სისტემატურად ერიცხება ერთ კონკრეტულ პირს, სავარაუდოა, რომ კომპანიის საბოლოო

კონტროლი სხვა პირების მეშვეობით ხორციელდება და ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს დამატებითი ზომები მათ გამოსავლენად.

5. ამ მუხლში მოცემული კრიტერიუმები და მაგალითები არ არის ამომწურავი და ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია კლიენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად განიხილოს კლიენტზე სხვა პირის მიერ შესაძლო კონტროლის განხორციელების საკითხი.

მუხლი 9. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი

1. ყველა შესაძლო ღონისძიების გატარების შემდეგ, თუ ანგარიშვალდებულ პირი დარწმუნდა, რომ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, ბენეფიციარი მესაკუთრე არ არსებობს, ბენეფიციარ მესაკუთრედ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიჩნიოს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირი/პირები - ფიზიკური პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები იურიდიული პირის საქმიანობასთან დაკავშირებით (მაგ. დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე).

2. თუ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება გააჩნია რამოდენიმე ფიზიკურ პირს, ბენეფიციარ მესაკუთრედ მიიჩნევა მათ შორის უმაღლესი იერარქიის ფიზიკური პირი, ხოლო თუ უფლებამოსილებები თანაბარია - ყველა ასეთი პირი.

3. აღნიშნულის განსაზღვრის მიზნით, ანგარიშვალდებულ პირი უნდა გაეცნოს იურიდიული პირის/ორგანიზაციული წარმონაქმნის მმართველობის სტრუქტურას წესდების, პარტნიორთა/წევრთა შეთანხმების და სხვა შესაბამისი დოკუმენტების გამოყენებით.

4. თუ კლიენტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის პოზიციას იკავებს იურიდიული პირი (გარდა ნომინალური დირექტორისა), ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია დაადგინოს მისი მფლობელობის და მმართველობის (კონტროლის) სტრუქტურა და მოახდინოს მისი როგორც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, ასევე, ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა და იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია.